8
1965

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნახ. შ. აბაშიძისა

— როგორ შეიძლება, ამხანაგო, ასეთი ჩვილი ბავშვის აღრიცხვაზე აყვანა?
— მამაჩემს რომ ჭკუა ჰქონოდა და ამხელა ჩავეწერე ბინის რიგში, ახლა სახვეწრად არ მექნებოდა საქმე!

№ 13 (1215) თბილისი ივლისი 1965
ნიანგი
გამოცემის 43-ე წელი. ფასი 20 კაპ.

ნახ. ჯ. ლოლუასი

— კიდევ ორი ბიჭია, ბიბოს? —
— სად ბოასფარი ამ დილით, ბაბაჯანი, ირთი ორად რომ ბაჩვენებდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიასახლისების დასახმარებლად

ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში, ისტორიისათვის დღემდე უცნობმა პირმა პირველმა შესძლო ერთი მტკაველი კინოფირის საშუალებით შეეჩერებინა ელექტროენერგიის გოლიათური ძალა. ეს რთული გამოგონება ავტორმა ტექნიკურად ასე შეასრულა: დანის პირით ჩაფხიკა ელექტრომრიცხველის მინა, რომლის შიგნით მრიცხველის დისკო ბრუნავს და კილოვატსაათებს აღნიშნავს. შემდეგ ხელის აუკანკალებლად შეაცურა შიგ 10-15 სანტიმეტრის სიგრძის კინოფირი. მოძრავი დისკო ადგილზე გაქვავდა. ელექტრომრიცხველის დისკოს შეჩერებამ გამოიწვია ელექტროენერგიის ხარჯვა ყოველგვარი ფულადი გადასახადის გარეშე.

დიასახლისებო, ისარგებლეთ ანონიმი ავტორის უნივერსალური გამოგონებით.

• • •

თუ გნებავთ ნაჭრიდან ამოიყვანოთ მელნის ლაქა, ამოიღეთ ასანთის კოლოფიდან რამდენიმე ღერი ასანთი. დაუსველეთ გოგირდიანი თავები წყალში და სველი თავები წაუსვით ლაქას. შემდეგ ამისა, ნაჭერი გარეცხეთ გულმოდგინედ და, თქვენ ნახავთ, რომ ლაქა ნაჭერზე გაქრება. ლაქის ამოყვანისას გახსოვდეთ, უნდა იხმაროთ მხოლოდ და მხოლოდ მცხეთის ასანთი, რადგან სხვა ასანთი ცოდვაა, მცხეთისა კი სხვად მაინც არაფრად გამოდგება.

• • •

თუ ელსმენით დალაპარაკება გსურთ მეგობართან, უნდა აკრიფოთ სასურველი ნომერი. თუ ნომერი 3-ით იწყება, რა თქმა უნდა, მეგობარს ვერ დაუკავშირდებით. ასევე ვერ დაუკავშირდებით სხვასაც სხვა შემთხვევაში, თუ ნომერი იწყება 6-ით, 4-ით, 5-ით, 9-ითა და ასე შემდეგ. მხოლოდ ორიანი მუშაობს ხუთზე (ფრიადზე). ჰოდა, რომ ვერ დაუკავშირდებით ვერავის, მაშინ დარეკეთ დაზიანების ბიუროში 05; მასაც რომ ვერ დაუკავშირდებით, დარეკეთ ცნობათა ბიუროში 09. იქ რომ ყურმილს არავინ არ აიღებს, შემდეგ დარეკეთ ისევ დაზიანების ბიუროში, მერე ისევ ცნობათა ბიუროში, მერე ისევ, ისევ, ისევ და... ბოლოს დარეკეთ სასწრაფო დახმარებაში — 03. ვიდრე სასწრაფო დახმარება მოვა, თქვენი ფეხით წადით საგიჟეში, რადგან „ნიანგი“ იმის გარანტიასაც ვერ მოგცემთ, რომ სასწრაფო დახმარება დროზე მოვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



პატრიოტი

ერთი მეზობელი მყავს — აპოლონი, ნამდვილად დიდი ქართველი, დიდი პატრიოტი. ის რომ საქართველოს სადღეგრძელოს იტყვის, მოსმენას არაფერი ჯობია.

როცა ჩვენი ბუნების სილამაზეზე გადავა, ვის სიტყვებს არ მოიტანს, სტრაბონიდან დაწყებული, კამბოჯას კომერციული საზოგადოების წარმომადგენლით დამთავრებული.

„ერს ორი სილამაზე აქვს, სულიერი და ფიზიკური ,— ხშირად ამბობს აპოლონი, — პირველი მის მეცნიერებასა და კულტურაში გამოიხატება, მეორე — სპორტში“.

— იცი, შენ, საქართველოს ოლიმპიელებმა მელბურნში რამდენ ქვეყანას აჯობეს ერთად აღებულს? — მეკითხება ერთხელ აპოლონი.

დაახლოებით რაღაც კი მახსოვდა, მაგრამ არ შევრცხვე მეთქი და უარის ნიშნად თავი გავიქნიე.

— არგენტინას, საფრანგეთს, ესპანეთს, შვეციას, ნორვეგიას და ფინეთს. ამისთანა ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები! — დამცინავად მეუბნება აპოლონი.

„ეს მართლა უნდა მცოდნოდა“, — გავიფიქრე დარცხვენილმა.

აპოლონი კი, თითქოს გულზე მხეთქავსო, ჯერ სამსახურიდან დაბრუნებულს სახლში ფეხიც კი არ შემიდგამს, რომ აივნიდან გადმომძახებს: — დღეს შეჯიბრებაა ფარიკაობაში, არ წამოხვალ?

— ძალიან დაღლილი ვარ, თანაც საღამოს ისევ ლაბორატორიაში უნდა წავიდე! — მოვიბოდიშებ მე.

— ისე, ქართველ კაცს კი უნდა გაინტერესებდეს ჩვენი სპორტის მომავალი.

ერთხელ სამსახურიდან ძალიან გვიან მოვედი. ლოგინში ჩავწექი და დავიძინე.

უცებ ვიღაც მანჯღრევს. შეშინებულმა თვალი გავახილე. თავზე აპოლონი მადგას.

— კაცო, რას შვრები, არ უსმენ უკანასკნელი ცნობების სპორტულ გამოშვებას?

— რა მოხდა?

— შევარცხვინე შენი პატრიოტობა, არ იცოდი, რომ დღეს მოსკოვში ჭაბუკი კალათბურთელების ფინალი იყო, სირცხვილი შენი.

— რა ქნეს, მოიგეს? — დავფაცურდი და შეცდომის გამოსწორება მოვინდომე.

— მოიგეს რომელია, ამ მამაძაღლებმა ყველას ბდღვირი ადინეს. — აპოლონი გარეთ გავარდა.

ორი წლის თავაუღებელი შრომის შემდეგ, როგორც იქნა, დავამთავრე ჩემი აპარატი.

ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ აპარატის გამოგონებისათვის პრემიაზე წარმადგინეს. როცა ეს ინფორმაცია გაზეთშიც წავიკითხე, თვალებს არ ვუჯერებდი. სახლში გახარებული დავბრუნდი.

სადარბაზო შესასვლელში რომ შევედი, აპოლონმა შორიდანვე დამიძახა:

— მომილოცავს, გიორგი, მომილოცავს! — გამოქანდა ჩემკენ. მეც მხიარულად შევეგებე და გადავეხვიე.

— სწორე გითხრა, ძალიან მეშინოდა, ისინიც კარგი ცხენოსნები იყვნენ, მაგრამ ჩვენებმა მაინც დაჯაბნეს. — რიხიანად ამბობდა აპოლონი.

— რა ცხენოსნები? — გავშტერდი მე.

— აბა რაზე იყო, რომ ჩამლოშნე? — გაშტერდა ახლა ის, — ჩვენმა კოლმეურნე ცხენოსნებმა პირველი ადგილი აიღეს, არ გაგიგია? ვაი შენს პატრონს, უბედურს! შევარცხვინე შენი ქართველობა!

დიდიმ პატარაია

ნახ. ო. ჯიშკარიანისა



— რას შვრები, შვილო?
— უკვე ასჯერ გავზომე, ბებო, და ახლა ვჭრი.

ყურმოკრული

ერთი კაცი იმერლის გასვენებას დაესწრო, ქელეხში კი კახელებთან მივიდა. როცა მიზეზი ჰკითხეს, ასე უპასუხა:

— აბა, იმერულ ქელეხში ლობიოს გავაბერინებდი სტომაქსო!

• • •

ერთი კაცი ჩიოდა, რაც ეს ქალი შევირთე, მოსვენება არა მაქვს, ერთ დღეს დღეობაში მიმათრევს, მეორეს გასვენებაშიო. ხანდახან ხდება, რომ ცალ ხელში ტორტი მიჭირავს, მეორეში—გვირგვინიო.

• • •

გამხდარი კაცი მსუქანმა კუთხეში მიიმწყვდია და საუბარი გაუბა. გამხდარი მორიდებით შესცქეროდა მსუქნის მუცელზე გადაჭიმულ სერთუკს.

— თუ ძმა ხარ, ცოტა უკან დაიწი. ფოლაქი არ აგაწყდეს და თვალი არ გამომთხაროო,— შეეხვეწა გამხდარი.

ა. მონიავა



ორკაპიკიანის მყლაპავი აპარატი.

�ROGORC KARGI SAQMIANI!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ გავხდი კოსმოპოლიტი

ᲙᲐᲜᲘ. ᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ- ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲤᲣᲚᲠᲘᲜᲘᲗ- ᲣᲤᲝᲡᲠᲘᲜᲘᲗᲐᲜᲐᲜ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘ ᲑᲐᲠᲘᲡᲨᲘ. ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲛᲘᲜᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲔ ᲨᲐᲠᲘᲫᲔ

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲡᲮᲛᲐᲚᲘ ᲠᲘᲜᲘᲗ: „ᲛᲐᲜ ᲠᲐᲡ ᲕᲘᲖᲘᲐᲜᲐ“.

ᲓᲐᲜᲔᲠᲘᲚᲘ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲪᲘᲠᲘᲚᲘ! ᲘᲠᲘᲐᲜᲘ!

— დაეჩქარე, ქალო, სადაა ჩემი ფეხსაცმელი?

— ჩეხურის?!

— კოსტუმიც გადმომიდე!

— ფინური?

— პალტუხი რა იქნა?

— ფრანგული თუ იტალიური?

— ნეიფლსის პიტანური, ჩქარა!

— ინგლისური?

— წინდები!

— ირაბეული?

— ჰო, ჰო, ჩქარა!

...რით დავიწყო ბოხსენება ამ უცნაურ თავვრილოსაზე, ვეფერხის და ღიღინით ვიკამეცნიო: „შე თბილისელი ბიჭი ვარ...“

სარკეში ჩავიხედე. რის თბილისელი ბიჭი, მსოფლიო ნაკრები ვარ ჩაცმულლბით... ᲛᲝᲛᲝ, ᲐᲒᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲘᲜᲘᲗ, ᲐᲫᲘᲒᲔᲚ ᲓᲐᲒᲠᲔᲣᲚᲘ. ᲝᲗᲮᲘᲗᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲗᲒᲘᲛᲝᲠᲗᲔᲑᲘᲡ: ᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲠᲜᲘᲢᲣᲠᲘ — ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲚᲘ, ᲒᲐᲖᲘᲡ ᲫᲘᲠᲘ — ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘ, ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝ — ᲔᲒᲠᲘᲜᲔᲚᲘ, ᲭᲐᲠᲔ — ᲩᲔᲮᲘᲠᲘ, ᲛᲐᲭᲘᲜᲘᲡᲐᲛᲘ... ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐᲜᲘ — ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲓᲐᲜ, ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝᲡᲐᲛᲘ — ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝᲡᲐᲛᲘ ᲠᲐᲓᲐᲜ, ᲠᲘᲡᲐᲛᲘ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲫᲘᲠᲘ — ᲒᲐᲖᲘᲡ ᲫᲘᲠᲘ, ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲓᲐᲜ — ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲓᲐᲜ, ᲠᲘᲡᲐᲛᲘ ᲠᲔᲜᲢᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ — ᲠᲔᲜᲢᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ, ᲠᲘᲡᲐᲛᲘ

ნახ. გ. ფირცხალავასი



სამშენებლო კანტორის თვითმოქმედი ანსამბლის გამოსვლა.

მეფიცხუნა

მე და ჩემი მეგობარი ერთმანეთს შევხვდით და შეჯიბრება დავიწყეთ საოცრებათა თქმაში.

მან მითხრა — ჩვენს ახალ ბინაში გათბობა სულ გვაქვსო.

მე ვუთხარი — ჩვენს ახალ ბინაში შუადამისას მერვე სართულზე აკვანს რომ არწევენ, ხმაური ქვევით სართულებზე მცხოვრებ ყველა ოჯახს გვაღვიძებს — მეთქი.

მან მიპასუხა — ეგ რა არისო, ჩვენთან ვისაც დიდი ავეჯი ჰქონდა, ყველამ გაყიდა, რადგანაც ახალი ბინის შესასვლელებში ასეთი ავეჯი არ შემოეტანაო.

ვიფიქრე, მე რითღა გავაკვირვო—მეთქი ჩემი მეგობარი და უცებ გამახსენდა... ვუთხარი — ჩვენთან მიცვალებული კარებიდან რომ ვერ გაატიეს, კუბო თოკებით ჩაუშვეს მერვე სართულიდან ქუჩაში — მეთქი.

ასე ვეჯიბრებოდით ერთმანეთს საოცრებათა თქმაში და, ბოლოს, მან ისეთი საოცრება მითხრა, რომ ენა დამება:

— იცი, მე ჩემი ახალი ბინა ძველ ბინაზე გადავცვალე.

მ. ნუცუბიძე

ნახ. გ. ლომბიძისა



დამთხვეულ მძღოლ-მეგარმონეთა ანსამბლის გამოსვლა.

ჩოლიბარ

შესვენებაზე განყოფილების ოთახში მარტო ვიჯექი. კარი ჯოხდარტყმული ძაღლივით აწკმუტუნდა, ოთახში ადგილკომის თავმჯდომარე შემოვიდა.

— დღეს საწარმოო თათბირია, — მაუწყა მან.

— ვიცი, — ვუპასუხე.

— გადავწყვიტეთ, კრიტიკული შინაარსის სიტყვით გამოხვიდე.

— კარგია, ვიტყვი რომ ჩვენი დირექტორი...

— გაგიჟდი? — გამაჩერა ადგილკომის თავმჯდომარემ.

— მაშინ ვიტყვი რომ მთავარი ინჟინერი...

— სუ! — პირზე მომაფარა ხელი ადგილკომის თავმჯდომარემ, თან აქეთიქით გაიხედა, — ვინმე ხომ არ გვისმენსო.

— მაშინ ჩვენი მთავარი ბუღალტერი რომ...

— აბა, აბა! — გამაჩერა ადგილკომის თავმჯდომარემ.

მე დავფიქრდი...

— ვერ მოიფიქრე? — არ მომეშვა ადგილკომის თავმჯდომარე.

— მოვიფიქრე! აი ჩვენი მელიფტე. ხანდახან სართულებს შუა რომ გვაჩერებს, მერე დამლაგებელი დილით ძალიან რომ ასველებს იატაკს. ზოგს რევმატიზმი გვაქვს, — გამახსენდა მე.

— კარგია, კარგი! — წამახალისა ადგილკომის თავმჯდომარემ.

— აი, ისიც, ელექტროჩაიდანი რომ გაფუჭდა, გურამს ესმის ელექტრობა და არ აკეთებს. ამან კი ის გამოიწვია, რომ შესვენებაზე ჩაის ვეღარ ვსვამთ!

— მიდი, მიდი, მაგათი სისხლი გაშრა! ეგენია მუშაობაში რომ ხელს გვიშლიან. — დაიზმუილა ადგილკომის თავმჯდომარემ და კმაყოფილებით ხელები მოისრისა, თან უბის წიგნაკში ჩაწერა „კრიტიკული სიტყვით გამოვა ოთარ სორია“.

მეორე დღეს ლიფტიორმა ლიფტში არ შემიშვა — „ეიძლება დენი გამორთონ, და მერე მე დამაბრალებო.

მაგიდას რომ მივუჯექი, მტვრის ისეთი კორიანტელი ავარდა, შიშმა ამიტანა — ტუბერკულოზი არ დამემართოს-მეთქი, ოთახის მეორე კუთხეში კი გურამს მაგიდაზე „ნორჩი ელექტრიკოსი“ ედო და კბილებს მიღრჭიალებდა.

ა. ადეიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხურდას არ დამიბრუნებთ, მეგობარო?
— როგორ არა, ოღონდ რიგი დაიკავეთ.



ნახ. ნ. მალაზონიასი

№ 490
შემოვიდა 19 წელი
14/VII

ნახ. მ. აბაშიძისა

ეჰ, ასეთი დაცვა რომ ჰყოლოდა თბილისის „დინამოს"...

მორიელი

კვირა დღეს მოხდა ამბავი,
მიხას დაეცა მეხი:
ზედმეტად იყო ნასვამი,
კიბეზე იღრძო ფეხი,
ატყდა ზარი და განგაში —
გამოუძახეს ექიმს.

გადააყლაპეს აბი და
კუნთში დაარტყეს ნემსი.
„სასწრაფო" სწრაფად გაფრინდა,
მიხას მიაფრენს კვნესით...
შემდეგ ქირურგმა აყვირა
ქირურგიული წესით.

ძალით ჩაუსვა ბუდეში
ამოვარდნილი კოჭი,
თქვა: — აგაყენებ ხუთ დღეში —
სუფრას გააწყობ გოჭით.
თანაც დასძინა ნუგეში:
—თუ გაგირთულდა, მოგჭრით!

ნაწამებ მიხას წასთვლიმა,
გამოეღვიძა დილით,
ზეწარზე ნახა შავი რამ,
სულმთლად გაუფრთხა ძილი:
„ჩქარა, მიშველეთ, არიქა,
მორიელია!" — ყვირის.

ექთანს ეკავა ლონიერს
და აწყნარებდა მიხას:
— აბა, სად ხედავ მორიელს?!—
თან წესს უხსნიდა დიდხანს:
ჩვენთან დამლა აქვს ყველაფერს.
რაზეც წევხარ და ზიხარ!

ფეხი მოურჩა ოთხ დღეში,
მაგრამ დასჩემდა შიში:
„მორიელია ლოგინში!"
დღესაც აბოდებს ძილში.

მ. ზილდელი

განცხადება

„ტყემალტყლაპტრესტის" დირექცია არსებული ანსამბლების გამოცდილების საფუძველზე აყალიბებს ახალ ქორეოგრაფიულ ანსამბლს: „აბა, ჰე!"

ანსამბლში შემსვლელებმა გამოცდები უნდა ჩააბარონ: სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ჩოქვითა და თავით სიარულში, იატაკზე მუხლებით ვარდნაში, წივილში, კივილში და ბღავილში.

გამოცდების დროს დაზარალებულთ სამედიცინო დახმარება არ გაეწევათ. უბედურების შემთხვევაში დირექცია პასუხს არ აგებს.

რედაქტორი ნ. დუმბაძე   სარედაქციო კოლეგია: ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, მ. ქარჩავა, ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.
საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги".
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-78

ხელმოწ. დასაბ. 30/VI-1965 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2186. უე 03313 ტირაჟი 40000

ამერიკის შეერთებული შტატების
ადმინისტრატიული რუკა.



ნახ. ვ. ლომიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ИНДЕКС 76317